



შემოსავლების
სამსახური

სტრატეგია 2021-2024

უჩირობა მართლმართლ

წინასიტყვაობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ხედვას 2021-2024 წლებისთვის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების გაუმჯობესების მიმართულებით. შემოსავლების სამსახურის სტრატეგია შესაბამისობაშია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებებთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გრძელვადიან ფისკალურ პოლიტიკასთან, ეროვნული პოლიტიკის და შესაბამისი სექტორული პოლიტიკის განმსაზღვრელ სტრატეგიულ დოკუმენტებთან. სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ამ სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს.

შემოსავლების სამსახური აცნობიერებს რა ქვეყანაში კორონავირუსის (Covid-19) პანდემიით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგად წარმოქმნილ საფრთხეებს, ითვალისწინებს მსოფლიოში არსებულ ტენდენციებს ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ კანონშესაბამისობის ტვირთის შემსუბუქებისთვის. სამსახური აქტიურად არის ჩართული საქართველოს მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის განხორციელების პროცესში, რაც მიზნად ისახავს პანდემიის შემდგომ პერიოდში ეკონომიკური საქმიანობის სწრაფად აღდგენის ხელშეწყობას, ბიზნესის განვითარების მხარდაჭერას და პანდემიის მიმართ ყველაზე მოწყვლადი ეკონომიკური სფეროების წახალისებას.

შემოსავლების სამსახურის შესახებ

შემოსავლების სამსახური წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც მისთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირებას, რაც ასევე მოიცავს ფიტოსანიტარიულ, ვეტერინარულ და სანიტარიულ სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს. შემოსავლების სამსახურის, საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი ფიზიკური და იურიდიული პირების ერთობლივი ძალისხმევის და თანამშრომლობის შედეგად მოხილავებული შემოსულობები შეადგენს ქვეყნის ბიუჯეტის 90%-ზე მეტს, რომლითაც ფინანსდება ჯანდაცვის, განათლების, თავდაცვის, ინფრასტრუქტურული და სახელმწიფო მმართველობის სხვა ფუნქციების განხორციელება.


ჩვენ, მოქნილი და ადვილად ხელმისაწვდომი სერვისების მიწოდებით ვამარტივებთ გადასახადის გადამხდელთა და საზღვრის მკვეთ პირთა ვალდებულებების შესრულების პროცესს, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად. ჩვენი სურვილი და მისწრაფებაა საზოგადოებასთან თანამშრომლობით და ჩართულობით გავხდეთ უფრო მეტად მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული საჯარო ადმინისტრაცია, რათა კიდევ უფრო გაიზარდოს საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა ჩვენი საქმიანობის მიმართ.

ჩვენს ხელთ არსებული რესურსის ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, ვაყალიბებთ სტრუქტურულ მიდგომებს კანონშესაბამისობის რისკების იდენტიფიცირების, შეფასების, პრიორიტეტიზაციის და აღმოფხვრისთვის. წარმატებით ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო, საბაჟო ადმინისტრაციებთან და პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა შევინარჩუნოთ მდგრადი განვითარება და ვუპასუხოთ ისეთ გლობალურ გამოწვევებს, როგორიცაა გადასახადისგან თავის არიდება, თაღლითობა და გაყვარძელობით ადმინისტრაციის შემდგომი რეფორმირებისა და გაციფრულების პროცესი.

ჩვენ ვსარგებლობთ გადასახადის გადამხდელთა მაღალი ნდობით,¹ რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა და გამოწვევაა.



სამსახურის რეფორმები, რომელიც განხორციელდა საერთაშორისო საგალუტო ფონდის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით, წარმატებულად იქნა მიჩნეული საგადასახადო ადმინისტრაციების დიაგნოსტიკური შეფასებით (TADAT). TADAT-ის 2016 წლის შეფასების შედეგებთან შედარებით,² 2020 წლის დიაგნოსტიკური შეფასების ანგარიშის მიხედვით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა TADAT-ის რვა ძირითადი მიმართულების 14 შეფასების ინდიკატორი.



A პასუხობს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნებს

B კარგი შესრულება, თუმცა სრულად ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნებს

C სუსტი შესრულება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მოთხოვნებთან შედარებით

D ცუდი შესრულება

1 Attitude Toward Tax System in Georgia, June, 2019, USAID Georgia
 2 <https://www.tadat.org>


მისია

საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა, ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ხელშეწყობით და სამართალდარღვევებზე შესაბამისი რეაგირების ღონისძიებების განხორციელებით.

ხედვა

მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების მიწოდებით და კანონშესაბამისობის მართვის თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, ვქმნით მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს ნებაყოფლობითი კანონშესაბამისობის ასამაღლებლად.

ორგანიზაციული ღირებულებები



შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლობა



2 299 299

INFO@RS.GE

WWW.RS.GE



ბაჭყალიშვილის ეკონომიკური ზონა



საგზაო საბაჟო გამშვები პუნქტი



სახელმწიფო საბაჟო გამშვები პუნქტი



საჰაერო საბაჟო გამშვები პუნქტი



ჩამონადირი წარმომადგენლობა



საჩხერის ცენტრი



ოპერირებადი ტერიტორიაზე საბაჟო გამშვები პუნქტი

შემოსავლების სამსახურის სტრატეგია 2021-2024

შემოსავლების სამსახურის 2021-2024 წლების სტრატეგია არის სამსახურის მისიის და ხედვის განსახორციელებლად დასახული მიზნების და ამოცანების ერთობლიობა, რომელთა შესრულება გააუმჯობესებს და უფრო ეფექტიანს გახდის საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრირების პროცესს. შემოსავლების სამსახური არსებული გარემო ფაქტორების და გამოწვევების გათვალისწინებით განსაზღვრავს სამ სტრატეგიულ მიზანს.

01 საგადასახადო და საბაჟო ვადებულებების შესრულებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ამაღლება

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანები

- 1 დაინტენსივებული პირთა საშიშროებაზე ორიენტირებული სწავლების განვითარება
- 2 მოქმედ და პოტენციური გადასახადის გადამხდელთა სწოებიერების ღონის ამაღლება
- 3 კანონთან შესაბამისობის სწრაფი ანგარიში საგადასახადო ჩიკების მართვის პროცესის გაძლიერება
- 4 საგადასახადო დავალიანების მართვის სისტემის გაუმჯობესება
- 5 საბაჟო ჩიკების მართვის და წინასწარი ინფორმაციის გაცემის სისტემის განვითარება
- 6 საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის, აღკვეთის და თავიდან აცილების მექანიზმების გაძლიერება

დაინტენსივებული პირთათვის გაბრუნებული სწავლების მიზრება და სწოებიერების ამაღლება

ჩვენ ვგეგმავთ სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, რაც ხელს შეუწყობს დისტანციური მომსახურების განვითარებას, გაზრდის დაინტერესებულ პირთა ინფორმირებულობის და მათი ჩართულობის შესაძლებლობას:

- ▶ **ერთიანი მეთოდოლოგიური ბაზა** - საინფორმაციო-საკონსულტაციო მონაცემთა ონლაინ პლატფორმა, რომელიც დაეხმარება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საკანონმდებლო საკითხებთან დაკავშირებული ინტერპრეტაციების თავიდან აცილებაში და გაზრდის მათი ინფორმირებულობის ხარისხს.

- ▶ **უკუკავშირის ერთიანი სისტემა** - უზრუნველყოფს სერვისების განვითარების პროცესში მომხმარებელთა ჩართულობის და სამსახურის მიერ შეთავაზებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.
- ▶ **სასაქონლო კოდით საქონლის ძიების და ნებართვების გაცემის ერთიანი ელექტრონული სისტემა** - ერთი ფანჯრის პრინციპით საბაჟო ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო ყველა სახის ნებართვის/სერტიფიკატის მოთხოვნის და მიღების შესაძლებლობა უფლებამოსილ უწყებებთან თანამშრომლობის გზით.
- ▶ **ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის ავტომატური დარიცხვის პროგრამა** - უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების ლიცენზიის და ათვისების გეგმით გათვალისწინებული მოსაკრებლის თანხების ავტომატურ დარიცხვას, რაც გაამარტივებს მოსაკრებლის ადმინისტრირების პროცესს.
- ▶ **ცნობიერების ამაღლების პროგრამა** - ხელს შეუწყობს ძირითადი სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობის ზრდას საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებებთან მიმართებაში.

კანონთან შესაბამისობის სფეროში არსებული საგადასახადო რისკების მართვის პროცესის გაძლიერება

2021-2024 წლების სტრატეგიით მნიშვნელოვნად ვცვლით კანონთან შესაბამისობის მიმართულებით არსებული რისკების მართვის მიდგომებს. ახალი სტრატეგიით, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო შეუსაბამობებთან მიმართებაში პირის ადრეულ ეტაპზე ინფორმირებასა და მიმდინარე კონტროლის ღონისძიებების ეფექტიან გამოყენებაზე. ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგადასახადო ადმინისტრაციების გამოცდილების გათვალისწინებით, გადასახადისგან თავის არიდების შემთხვევების ანალიზის პროცესში, მესამე მხარის ინფორმაციის გამოყენების მიზნით, ვგეგმავთ ვითანამშრომლოთ ფინანსურ ინსტიტუტებთან, რაც ხელს შეუწყობს კანონშესაბამისობის რისკების მართვის ახალი შესაძლებლობების განვითარებას. კანონშესაბამისობის რისკების მართვის პროცესში ჩვენი პრიორიტეტია:

- ▶ რეგისტრაციის გარეშე საქმიანობის მონიტორინგი
- ▶ სავარაუდო დარიცხვის მექანიზმის გამოყენება
- ▶ გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება
- ▶ დაქირავებით მომუშავე პირთა რეესტრის მონეორიგება
- ▶ დღგ-ის გადამხდელთა რეგისტრაციის რისკების მართვა
- ▶ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების მარაგების რისკების მართვა
- ▶ ძირითად გადასახადებში დეკლარაციების სისწორის კონტროლის თანამედროვე სისტემების დანერგვა

საგადასახადო ადმინისტრირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა დავალიანების დაგროვების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას, ასევე მნიშვნელოვანი რესურსი გამოიყოფა დაგროვილი დავალიანების შემცირების მიმართულებით.

საბაჟო ჩისკების ბართვის და წინასწარი ინფორმაციის გაცემის სისტემის განვითარება

საბაჟო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესის დახვეწის მიზნით, ვნერგავთ მონაცემთა დამუშავების და ანალიზის თანამედროვე მექანიზმებს, რაც გააუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების, განხორციელების და კონტროლის შედეგების უკუკავშირის სისტემას. პარტნიორი ქვეყნების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით ვაფართოებთ საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული მონაცემების წინასწარი გაცემის არეალს, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა ტვირთების სწრაფი და უსაფრთხო გადაადგილებისა და საბაჟო კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის.

საბაჟო კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის, აღკვეთის და თავიდან აცილების მექანიზმების გაძლიერება

დაგეგმილია საბაჟო ლაბორატორიის ჩამოყალიბება და არსებული საბაჟო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ერთი მხრივ, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობისთვის, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური საზღვრების და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.

გაგრძელდება მუშაობა Block Chain სისტემის საშუალებით წარმოშობის სერტიფიკატის ავთენტურობის დადგენის მიმართულებით, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს იმპორტიორი ქვეყნის მიერ წარმოშობის სერტიფიკატის ვერიფიკაციის პროცესს.

02

ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და მდგრადობა

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანები

1

ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მიდგომების განხორციელება

2

ორგანიზაციის უწყვარძო რისკების მართვის სისტემის დანერგვა

3

ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა

4

საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების გაუმჯობესება

ორგანიზაციის განვითარების პროცესი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენთან დასაქმებულ ადამიანებზე, რომლებიც აყალიბებენ ორგანიზაციულ კულტურას და წარმოადგენენ ჩვენი ორგანიზაციის წარმატების უმთავრეს გარანტიას. ახალი სტრატეგიის ფარგლებში ჩვენი ამოცანაა თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების, მოტივაციის და შეფასების არსებული სისტემის განახლება და თანამშრომელთა კმაყოფილების დონის ზრდა.

ჩვენ, ვიყენებთ ორგანიზაციული ცვლილებების მართვის კომპლექსურ მიდგომებს, რათა ვუპასუხოთ დინამიურ გამომწვევებს, შევამციროთ ორგანიზაციული რისკები და მივაღწიოთ დასახულ მიზნებს. ორგანიზაციის ინსტიტუციური შესაძლებლობის განვითარების უზრუნველსაყოფად ჩვენთვის მნიშვნელოვანია:

- ▶ თანამშრომელთა პროფესიული განვითარება და მოტივაცია
- ▶ თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნა
- ▶ მაღალი ორგანიზაციული კულტურის შენარჩუნება

ჩვენ, თანამედროვე სამუშაო გარემოს შექმნისთვის ვწერგავთ შედეგზე ორიენტირებული პროექტების მართვის სისტემას, რაც გაამარტივებს საოპერაციო პროცესის მართვას და მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებას. მომდევნო ოთხი წლის მანძილზე მნიშვნელოვან ინვესტირებას ვახორციელებთ საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებაში, რათა უზრუნველყოთ ძირითადი ბიზნეს პროცესების ავტომატიზაცია და მოწინავე ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება. ვითვალისწინებთ რა, შემოსავლების სამსახურის როლს კრიტიკულად მნიშვნელოვანი მონაცემების დამუშავების და ანალიზის პროცესში, ინფორმაციის კონფიდენციალურობის, მთლიანობის და მიღების შესაძლებლობის ადეკვატური კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, ვწერგავთ საინფორმაციო უსაფრთხოების სტანდარტს - ISO 27001.

მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანები

1

თანამშრომლობის ორგანიზი, მრავალმხრივი ფორმატებისა და ტექნიკური დახმარების არაადის გაწევა

2

ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერა

საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამსახურში არსებული პროცესების დახვეწის და ახალი შესაძლებლობების განვითარებისათვის. საერთაშორისო პარტნიორებისგან მიღებული გაუმჯობესებული საერთაშორისო სარეიტინგო შეფასებები და უკუკავშირი ჩვენთვის დამატებითი შესაძლებლობაა მივაღწიოთ საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების მაღალ სტანდარტს და გავზარდოთ დაინტერესებულ პირთა ნდობა. მსოფლიო პანდემიის გლობალური გამოწვევებთან გასამკლავებლად ჩვენ კიდევ უფრო აქტიურად ვართ ჩართული საერთაშორისო თანამშრომლობის ყველა მნიშვნელოვან ფორმატში. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში:

- ▶ შემოსავლების სამსახური აძლიერებს თანამშრომლობას პარტნიორ სახელმწიფოებთან, სხვადასხვა ქვეყნის შესაბამის უწყებებთან, რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. გამოთქვამს მზადყოფნას გააზიაროს სამსახურის წარმატებული პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია. აფართოებს ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო სამართლებრივ ბაზას.
- ▶ სამსახური განაგრძობს საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მხარდაჭერას. მათ შორის, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიმართულებით, რაც ითვალისწინებს არამართო ევრო დირექტივებთან და რეგულაციებთან დაახლოებას, საერთაშორისო კონვენციებთან მიერთებასა და საგადასახადო/საბაჟო პოლიტიკისა და ადმინისტრირების საერთაშორისო პრინციპების დანერგვას, არამედ მათ ეფექტიან ადმინისტრირებას.


ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს საბაჟო და საგადასახადო მიმართულებით არსებული პროექტების წარმატებით დანერგვას, მათ შორის აღსანიშნავია:

- ▶ „ტრანზიტის საერთო პროცედურების“ (CTC) და „საქონლით ვაჭრობაში ფორმალუბების გამარტივების“ კონვენციებთან მიერთებისა და „ახალი კომპიუტერიზებული სატრანზიტო სისტემის“ (NCTS) იმპლემენტაცია, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭ-

რობაში მონაწილე პირთათვის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების გამარტივებას, მათი შედარებით კონკურენტუნარიანობის ზრდას და საბაჟო რისკების ეფექტურ მართვას.

- ▶ ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის ინსტიტუტის სრულყოფილი იმპლემენტაცია, რაც გულისხმობს საბაჟო ორგანოსა და ბიზნეს სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, მიწოდების ჯაჭვის უსაფრთხოების ხელშეწყობასა და ურთიერთალიარების მექანიზმების დანერგვას.
- ▶ საგადასახადო მიზნებისთვის საფინანსო ინფორმაციის ავტომატური გაცვლის (Common Reporting System) სტანდარტის დანერგვა.

სტრატეგიის შესრულის ძირითადი მაჩვენებლები



1

საგადასახადო დანაკარგები

საგადასახადო დანაკარგების ოდენობა არ აღემატება მოსალოდნელი შემოსავლების 20 %-ს.

4

მობილიზებული შემოსავლები

მობილიზებული შემოსავლების შეფარდება დაგეგმილ რაოდენობასთან შეადგენს 95%-ს და მეტს.

2

დაგროვილი ზედმეტობა

დაგროვილი ზედმეტობა შემცირებულია 50%-ით.

5

სერვისებით კმაყოფილების კვლევა

შემოსავლების სამსახურის სერვისებით კმაყოფილების მაჩვენებელი შეადგენს 90%-ს და მეტს.

3

ცნობიერების დონის კვლევა

მოქმედ და პოტენციურ გადასახადის გადამხდელთა 65%-ზე მეტი ინფორმირებულია საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებების შესახებ

6

დაგროვილი საგადასახადო დავალიანება

დაგროვილი საგადასახადო დავალიანება არ აღემატება მთლიანი შემოსავლების 20%-ს.

თბილისი, ვ.გორგასლის ქუჩა N16, 0114

2 299 299

info@rs.ge

www.rs.ge